ეროვნული ბიბლიოთეკა
2ლ
n 118/1573

შემოხაზეთ **5**

# სახალხო პარტია - დიდგორი

ძლევაი საკვირველი





ჩვენი საქმიანობის საფუძველი ყოველთვის იყო, არის და იქნება ეროვნულობა, ღირსება, პროფესიონალიზმი, პატიოსნება, ერთობა.



თბილისი, უზნაძის ქ. 56
ტელ.: 96 03 69, 96 14 50

# სახალხო პარტია - დიდგორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამუკა გიორგაძე

## ჩვენ შეგვწევს ძალა - გავაკეთოთ სწორი არჩევანი!

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - აღვადგინოთ ეროვნული თანხმობის ჩატეხილი ხიდი.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - ვიყოთ დამოუკიდებელნი და ჩვენი გზა გვქონდეს მსოფლიოში.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - დავიბრუნოთ დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო, აღვიდგინოთ შელახული ეროვნული ღირსება.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან ბოლო მოვუღოთ ქვეყნის ხაზინის ქურდობას.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - დავამარცხოთ კორუფცია - კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - ხელფასებითა და პენსიებით უზრუნველვყოთ საქართველოს თითოეული მოქალაქე.



გიორგი კობახიძე



ნოდარ წულეისკირი

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - გვქონდეს საუკეთესო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - შევქმნათ სამუშაო პირობები თითოეული შრომისუნარიანისთვის, შევქმნათ უმწეოთა სოციალური დაცვის სრულყოფილი სისტემა.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - შევქმნათ საუკეთესო საინვესტიციო და საგადასახადო გარემო საშუალო და მცირე ბიზნესისთვის, რითაც უზრუნველვყოფთ ქვეყნის საყრდენი ძალის, საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა - შევქმნათ ღირსეული ცხოვრების პირობები თითოეული ოჯახისთვის.

**დიახ, ჩვენ შეგვწევს ძალა!..**



ეროვნული ბიბლიოთეკა



გოგი ოჩიაური



ნუგზარ ფოფხაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს დღევანდელი უკიდურესი გაჭირვება - სიდუხჭირე, შიმშილი, უხელფასობა, უპენსიობა, ამორალური ცხოვრების წესი, ტერორი, უკანონობა, განუკითხაობა, დამცირება, უიმედობა... - განპირობებულია ქვეყნის კლანური მართვის ანტისახელმწიფოებრივი ბუნებით.

ყოველი ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია შრომითა და ბრძოლით, ცხოვრების სამართლიანი წესის დაკანონებით აღვიდგინოთ დაკარგული და ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითი მივცეთ ჩვენ შვილებს - საქართველოს მომავალს.

**გავაკეთოთ სწორი არჩევანი და შევცვალოთ ცხოვრება უკეთესობისკენ!**

